საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3659
18/05/2023

3659-21-2-202305180932

შპს „ტრანს-ალიანს ფოთს“
მის: ქ. ფოთი, გეგიძის №7, ბინა №37
ელ. ფოსტა: environmental.sc4@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3150 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ფოთში, ფალიაშვილის №6-ში, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციას.

- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „ტრანს-ალიანს ფოთის“ ნავთობპროდუქტების საცავი განთავსებულია კომპანიის კუთვნილ, საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე და განკუთვნილია კომპანიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების - კონტეინერმზიდების დიზელის საწვავით გამართვისთვის. დოკუმენტის თანახმად, კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტვირთების, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზება. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული ობიექტის მოწყობის თარიღისა და საქმიანობის (სასაწყობე ტერიტორიაზე არსებული ობიექტები, ტვირთების სახეობები და სხვა) შესახებ;
- განცხადების თანახმად, შპს „ტრანს-ალიანს ფოთის“ სასაწყობე ტერიტორიის სიახლოვეს წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტები (სასაწყობე მეურნეობები), თეორიულად შესაძლებელია დავუშვათ, რომ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს წარმოდგენილ ტერიტორიებზე ასევე არის განთავსებული ნავთობპროდუქტების

რეზერვუარ(ებ)ი“. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ადგილიდან 500 მეტრის რადიუსში არსებული მსგავსი პროფილის ობიექტებისა და შესაბამისად, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო